პლასტილინის, კინეტიკური ქვიშისა და საღებავების დამზადება

ავტორი/ავტორები - მანანა ჩქარეული , ნინო ლაბარტყავა

ბავშვის თამაში განვითარების სხვადასხვა ეტაპს გაივლის. თავდაპირველად, ბავშვი თამაშში სენსორულ და მოტორულ ფუნქციებს ივითარებს, რითაც იგი საკუთარი სხეულის შესაძლებლობებსა და მის გარშემო არსებულ სინამდვილეს ეცნობა.

სენსორული და მოტორული ფუნქციების განვითარებასთან ერთად, თანდათან ბავშვისთვის მნიშვნელოვანი ხდება არა მხოლოდ საკუთარი მოძრაობებითა და საგნებზე მანიპულაციით მიღებული სიამოვნება, არამედ თამაში მისთვის მეტ აზრს იძენს. ბავშვი თამაშის დროს არსებული მოვლენების მიბაძვას იწყებს და ილუზიის თამაშის ეტაპზე გადადის. მაგალითად, სარეცხის სარჭით თამაშობს და ვითომ მანქანას ატარებს ან ,,დედის“, ,,მამის“ , ,,მძღოლის“ როლს გაითამაშებს. ამავე ეტაპზე იწყებს ბავშვი არსებული ნივთიერი მასალის გარდაქმნას და მისთვის ახალი მნიშვნელობის მინიჭებას. მაგალითად, როგორც ეს ხდება კუბების შენების, ან ცომით თამაშის დროს. მაშასადამე, ილუზიის თამაშის ხარჯზე კონსტრუქციული თამაშიც იწყებს განვითარებას. ბავშვი ამ დროს ამა თუ იმ საგნებსა თუ მოვლენებს სიმბოლურ მნიშვნელობას ანიჭებს. მაგრამ არა რეალობის ზუსტი ასახვით, არამედ საკუთარი ფანტაზიის რეალიზებით.

თამაშის პროცესში ხდება ბავშვის შემოქმედებითი ფორმების ჩასახვაცა და განვითარებაც. სხვადასხვა მასალაზე მანიპულაციისას (იქნება ეს ქვიშა, საღებავი თუ პლასტილინი), ბავშვი ჯერ სიამოვნებას იღებს საკუთარი მოძრაობებისა და იმ შეგრძნებებისგან, რომელსაც ამ

მასალაზე მანიპულაცია იწვევს. თანაც საინტერესოა ის, რომ ბავშვი ამ მოძრაობებს იმეორებს და იმეორებს, რის გამოც მისი მოქმედებები სულ უფრო და უფრო დახვეწილი და რთული ხდება (სენსო-მოტორული თამაში). მაგრამ თანდათან, ბავშვისთვის საინტერესო ხდება არა მხოლოდ ამ მასალით მანიპულაცია, არამედ ამ მანიპულაციის შედეგად მიღებული პროდუქტი, გარკვეული ფორმა. მიღებული ფორმა ბავშვში ისეთ კმაყოფილებას იწვევს, რომ ის სხვა ადამიანებსაც სიხარულით უზიარებს საკუთარ შემოქმედებას. მაშასადამე, ბავშვის მიერ შექმნილი პროდუქტი სოციალური ურთიერთობის საბაბიც ხდება. ამის შემდეგ ბავშვი ცდილობს, რომ მის მიერ შექმნილი პროდუქტი რაიმეს მიამსგავსოს, მაგალითად, დაჯღაბნილ რამდენიმე ხაზზე ამბობს – დროშაა. ბავშვის ამგვარ ქმედებას მეცნიერები კვლავ ილუზიის თამაშს მიაწერენ (უზნაძე, 2005). მიღებული პროდუქტით დაინტერესების შემდეგ, ბავშვისთვის საინტერესო ხდება აღნიშნული ფორმის გამრავალფეროვნება და დახვეწა (კონსტრუქციული თამაში). მხოლოდ ამ ეტაპის გავლის შემდეგ იწყებს ბავშვი განზრახვის მიხედვით მასალისთვის სასურველი ფორმის მიცემას. მაგ., ჯერ იტყვის, რომ ახლა მე მზეს დავხატავ, და მართლაც ცდილობს, რომ მზე დახატოს. მხოლოდ ამ საფეხურიდან ითვლება, რომ ხდება ბავშვის შემოქმედებითი ფორმების განვითარება.

როგორც ვნახეთ, ადამიანის შემოქმედების ფორმებს (მაგ, ხატვას ან ძერწვას) ბავშვის სენსო-მოტორული და ილუზიის თამაში უდევს საფუძვლად. განზრახვის მიხედვით მოქმედება კი საფუძველს უყრის მომავალში ისეთი ქცევების განვითარებას, როგორებიცაა – მაგალითად, სასკოლო სწავლა და შრომა.

მაშასადამე, ძვირფასო მშობლებო და მზრუნველებო, როდესაც ბავშვს ვთავაზობთ სხვადასხვა მასალებს (ქვიშას, პლასტილინს ან საღებავებს) მანიპულაციისა თუ შემოქმედებითი თვითგამოხატვისთვის, ამ დროს ხელს ვუწყობთ, მას განუვითარდეს ნატიფი მოტორული, ყურადღების კონცენტრაციის, შემოქმედებითად პრობლემის გადაჭრის, შემოქმედებითი თვითგამოხატვისა და ქცევის მიზანმიმართული მართვის უნარები, რაც, ალბათ, დაგვეთანხმებით, მნიშვნელოვანი უნარებია სკოლაში სწავლისა და ცხოვრებისათვის.

დღეს ჩვენ წარმოგიდგენთ აქტივობების: ,,პლასტილინის, კინეტიკური ქვიშისა და საღებავების დამზადების " აღწერას.

აქტივობების ვიდეო ინსტრუქციის ხილვა შეგიძლიათ მასწავლებლის სახლის ფეისბუქგვერდზე. იხ. ლინკი: shorturl.at/ejkN1

აქტივობების მიზნებია: ნატიფი მოტორიკის, ყურადღების, ფანტაზიის, შემოქმედებითი თვითგამოხატვის უნარების განვითარება.

ასაკი: 3-7 წელი

კავშირი სტანდარტთან

ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტები (3-5 წელი)

- **განვითარების სფერო –** ფიზიკური და სენსორული განვითარება. **შედეგი –** ბავშვი აკონტროლებს და კოორდინირებულად იყენებს სხეულის წვრილ კუნთებს. **კატეგორია –** ნატიფი მოტორიკა. შედეგი – ბავშვი გრძნობათა ორგანოებს (მხედველობას, სმენას, შეხებას, გემოვნებას, ყნოსვას) საკუთარი მოძრაობის გასაკონტროლებლად გამოიყენებს.
- **განვითარების სფერო –** კომუნიკაციური უნარების, ენისა და მეტყველების განვითარება. **შედეგი –** ბავშვი ავლენს წერისა და კითხვის საბაზისო უნარებს. **კატეგორია –** წერა. **ინდიკატორები:** ავლებს ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ხაზებს; თამაშისას იყენებს წარმოსახვით წერას(ხატავს პატარა ზომის ფიგურებს, ვითომ წერს); ხატავს სიმბოლოებს, რომლებიც შეხვედრია და ახსოვს.
- **განვითარების სფერო –** შემეცნებითი განვითარება. **შედეგი –** ბავშვი ავლენს ცნობისმოყვარეობას სიახლის მიმართ, შეუძლია შეაჩეროს და შეინარჩუნოს ყურადღება მოცემულ ამოცანაზე. **შედეგი –** ბავშვი შემოქმედებითად უდგება ყოველდღიურ საქმიანობას და ეძებს პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა გზებს.
- **თემატური მიმართულება –** ხელოვნება. **შედეგი –** ბავშვი ინტერესდება ვიზუალური ხელოვნებით და იყენებს მას თვითგამოხატვისთვის. **კატეგორია –** შემოქმედებითი თვითგამოხატვა.

სასკოლო მზაობის სახელმწიფო სტანდარტი (5 წლიდან სკოლაში შესვლამდე)

- **განვითარების სფერო –** ჯანმრთელობა და ფიზიკური განვითარება. **ქვესფერო**– ნატიფი მოტორიკა. **შედეგი –** ბავშვს მოსწონს ახალი დავალებების შესრულება, რომლებიც ნატიფი მოტორიკის გამოყენებას მოითხოვს: მაგ., ძერწვა, „ფაზლების“ აწყობა, ხატვა და ა.შ.
- **განვითარების სფერო –** სწავლისადმი მიდგომა. ქვესფერო – **სასწავლო და სააზროვნო უნარები. მიმართულება – ყურადღების კონცენტრაცია. შედეგი –** ბავშვს შეუძლია შეაჩეროს და გარკვეული დროის განმავლობაში შეინარჩუნოს ყურადღება კონკრეტულ ამოცანაზე, მათ შორის გარკვეული დაბრკოლებების წარმოქმნის შემთხვევაშიც. **მიმართულება** – შემოქმედებითობა და გამომგონებლობა. **შედეგი** – ბავშვს შეუძლია ძერწვისას და ხატვისას შექმნას ახალი ფორმები და შინაარსები.
- **განვითარების სფერო –** მეტყველება, კომუნიკაცია და წიგნიერება. **ქვესფერო** - წიგნიერება. **მიმართულებ**ა – წერა. შედეგი – ბავშვს შეუძლია საკუთარი სახელის დაწერა; ცდილობს ასოების გამოყვანას.

1. **პლასტილინის დამზადება**

მასალა:

- 2 ჭიქა ფქვილი.
- 1 ჭიქა წყლი.
- 1 ჭიქა მარილი.
- 1-ს/კ ზეთი.
- საკვები საღებავები.
- თასი.

მიმდინარეობა: თასში ჩავყაროთ ფქვილი, მარილი, ჩავასხათ ზეთი და წყალში გაზავებული საკვები საღებავი. მოვზილოთ იქამდე, სანამ მკვრივ მასას არ მივიღებთ. თუ მასა ხელზე გვეკრობა, დავამატოთ ცოტადენი ფქვილი. იმ შემთხვევაში, თუ სახლში არ გვაქვს საკვები საღებავი, შეგვიძლია გამოვიყენოთ სტაფილოს, ჭარხლის ან ისპანახისგან დამზადებული წვენი. წვენის დასამზადებლად საჭიროა, რომ გახეხილი სტაფილო და ჭარხალი მარლაში გადავახვიოთ და წვენი გამოვწუროთ. ისპანახი კი ჯერ თბილ წყალში ჩავდოთ, შემდეგ ისიც მარლაში გადავახვიოთ და ისიც გამოვწუროთ. ასე მივიღებთ საღებავს ჩვენი პლასტილინისთვის. თუმცა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ წვენით დამზადებული მასა, არ იქნება ისეთი ბზინვარე, როგორც საკვები საღებავით მომზადებული პლასტილინი.

ჩვენ მიერ შექმნილი პლასტილინისგან შეგვიძლია სხვადასხვა აქტივობების განხორციელება. მაგალითად, პლასტილინით, საწრუპებით, ასანთის ღერებით ან ჩინური ჩხირებით სხვადასხვა ბრტყელი ან სივრცული გეომეტრიული ფიგურების აწყობა. სხვადასხვა ფიგურების გამოძერწვა.

აღსანიშნავია, რომ ჩვენ მიერ შექმნილი პლასტილინი სრულიად უსაფრთხოა და ამავდროულად, დიდხანს ძლებს დახურულ კონტეინერში ან ცელოფნის პარკში.

2. **კინეტიკური ქვიშის დამზადება**

მასალა:

- 4 ჭიქა ფქვილი.
- 1/2 ჭიქა ზეთი (საკბვები ან ბავშვის).
- საკვები საღებავები.
- თასი.

მიმდინარეობა: თასში ჩავყაროთ ფქვილი, ჩავასხათ ზეთში გაზავებული საკვები საღებავი. მოვზილოთ იქამდე, სანამ, არ იქნება შესაძლებელი მიღებული მასით მანიპულირება.

კინეტიკური ქვიშა დავყაროთ დაფაზე, მივცეთ ბავშვს შესაძლებობა სხვადასხვა საგნით ან თითებით დახატოს მასზე. ჩვენ მიერ დამზადებული ქვიშა შესაძლებელია ფქვილის ნაცვლად გამოვიყენოთ აქტივობისთვის „სენსორული დაფა“, ან უბრალოდ, ბავშვს მივცეთ სხვადასხვა ფორმები, პატარა ჯამები და ის თამაშს საკუთარი ფანტაზიით წარმართავს.

3. **აქტივობა –** საღებავების დამზადება

მასალა:

- ფქვილი.
- წყალი.
- ზეთი.
- საკვები საღებავები.
- ქილა.

მიმდინარეობა: ქილაში ჩავყაროთ ფქვილი. შემდეგ ცალკე წყლიან ჭიქაში ან თასში გავხსნათ საკვები საღებავები და ცოტა ზეთი. მიღებული სითხე ჩავასხათ ფქვილიან ქილაში. ქილას დავახუროთ სახურავი და ვანჯღრიოთ იქამდე, სანამ მასა თხელი არაჟნის სისქის არ გახდება.

მიღებული საღებავებით შეგვიძლია ვხატოთ როგორც ფუნჯით, ასევე თითებით ან ფეხით დიდი ზომის წინასწარ მომზადებულ ფორმატზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. უზნაძე, დ. (2005) ბავშვის ფსიქოლოგია. სასკოლო ასაკის ბავშვის ფსიქოლოგია. თბილისი.
2. ჯონსონი ჯ.ი, ქრისტი ჯ. ფ. თამაში, განვითარება და ადრეული განათლება.
3. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4376829

სტანდარტის სრული ვერსია იხილეთ ლინკზე: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4376829; პუბლიკაციის სახით – shorturl.at/hr125

სტატიის ბმული: http://mastsavlebeli.ge/?p=25670~